Wizz FTP სერვისი — წესები და პირობები

Wizz FTP სერვისის საფასურის გადახდით აცხადებთ და ადასტურებთ, რომ სათანადოდ ხართ ინფორმირებული, იაზრებთ და მკაფიოდ ეთანხმებით ამ წესებსა და პირობებს.

1 ინტერპრეტაცია

1.1 Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგად პირობებში (***GCC***) განსაზღვრულ ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვს წინამდებარე წესებსა და პირობებში (***TC***), თუ ქვემოთ არ არის მითითებული ან კონტექსტი არ მოითხოვს სხვაგვარად.

1.2 GCC-სა და TC-ს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება TC-ს ამ დებულებებს.

2 განმარტებები

2.1 **აპი**: Wizz Air-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ვებსაიტთან და იმართება Wizz Air-ის მიერ ან მისთვის და სადაც შესაძლებელია ჯავშნების გაფორმება.

2.2 **ჯავშანი:** ჯავშანი Wizz Air-ის ერთი ან მეტი ავიარეისისთვის (ნებისმიერი დამატებითი სერვისით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დადასტურებულია Wizz Air-ის მიერ. ჯავშანი ითვლება მომხმარებელს, მგზავრ(ებ)სა და Wizz Air-ს შორის საჰაერო ტრანსპორტის კონტრაქტის საფუძვლად.

2.3 **მომხმარებელი** ან **თქვენ:** პიროვნება, რომელიც ყიდულობს Wizz FTP სერვისს.

2.4 **ტრანსპორტირების ზოგადი პირობები** ან **GCC**: Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგადი პირობები, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებსაიტზე და დროდადრო იცვლება Wizz Air-ის მიერ.

2.5 **მგზავრი:** პიროვნება, რომელიც იყენებს Wizz Air-ის სატრანსპორტო სევრისებს და რომლის სახელიც მითითებულია მგზავრად მომხმარებლის მიერ გაფორმებულ ჯავშანში.

2.6 **ვებსაიტი:** www.wizzair.com.

2.7 **Wizz Air**: Wizz Air Hungary Ltd (იურიდიული მისამართი: H-1103 Budapest, Kőér street 2/A, Building B, Floors II-V Hungary), Wizz Air UK Ltd (იურიდიული მისამართი: Main Terminal Building, London Luton Airport, Luton, LU2 9LY, United Kingdom), Wizz Air Malta Ltd (იურიდიული მისამართი: 171, Old Bakery Street, Valetta VLT-1455, Malta), Wizz Air Abu Dhabi LLC (იურიდიული მისამართი: Business Park 01, Plot P6, Office number 208, Abu Dhabi International Airport, Abu Dhabi, United Arab Emirates) ან Wizz Air-ის ნებისმიერი სხვა კომპანია, რომელიც მგზავრის მიერ დაჯავშნილ ავიარეისს ახორციელებს Wizz Air-ის ბრენდის სახელით.

2.8 **Wizz FTP სერვისის გადასახადი**: სერვისის გადასახადი, რომლის გადახდაც მოგეთხოვებათ Wizz FTP სერვისისთვის. Wizz FTP სერვისის საფასურის ოდენობა მითითებულია ვებსაიტზე.

2.9 **Wizz FTP სერვისი**: დამხმარე სერვისი, რომელსაც Wizz Air უზრუნველყოფს TC-სა და GCC-ს ფარგლებში. ასეთი დამხმარე სერვისი – Wizz FTP სერვისის საფასურის გადახდის სანაცვლოდ — მომხმარებელს აძლევს უფლებას, ამჟამინდელი TC-ს შესაბამისად და სახელის შეცვლის მოსაკრებლის გადახდის გარეშე მგზავრ(ებ)ის სახელ(ებ)ის მითითების/შეცვლის მეშვეობით ცალმხრივად შეცვალოს საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტის ხელშეკრულება

მომხმარებელს, მგზავრ(ებ)სა და Wizz Air-ს შორის, რაც ექვემდებარება GCC-სა და სხვა მოქმედ კანონებსა თუ რეგულაციებს.

3 WIZZ FTP სერვისის შეძენა

3.1 Wizz FTP სერვისის შეძენა შეგიძლიათ ვებსაიტზე — ამისთვის უნდა შეხვიდეთ თქვენს Wizz ანგარიშში. Wizz FTP სერვისის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ონლაინ რეგისტრაციის შემთხვევაში და თუ მითითებულია მინიმუმ ერთი მგზავრის სახელი ჯავშნის გაფორმებამდე და ჯავშნის დასტურის მიღებამდე.

3.2 თუ Wizz FTP სერვისი გაქვთ შეძენილი, შეგიძლიათ, დაჯავშნოთ თითოეული ან ყოველი მგზავრის სახელის მითითების გარეშე (ანუ ერთზე მეტი მგზავრის სახელის მითითების გარეშე, როგორც განმარტებულია 3.1 პუნქტში). ამის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, მოგეთხოვებათ ყველა მგზავრის სახელის ონლაინ მითითება გამგზავრების დაგეგმილ დრომდე არაუგვიანეს 3 (სამი) საათისა. ჯავშნის გაფორმების შემდეგ, რეგისტრაციის დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მგზავრ(ებ)ის სახელ(ებ)ის შეცვლაც.

3.3 თუ 3.3 პუნქტში მითითებულ დროში არ მიუთითებთ გამოტოვებული მგზავრ(ებ)ის სახელ(ებ)ს, ეს მიიჩნევა თქვენ მიერ ჯავშნის გაუქმებად უსახელო მგზავრ(ებ)ისთვის, გაუქმებასთან დაკავშირებით GCC-ს დებულებების შესაბამისად.

4 WIZZ FTP სერვისის საფასურის გადახდა

4.1 Wizz FTP სერვისის საფასური უნდა დაიფაროს ჯავშნის გაფორმებისას.

4.2 Wizz FTP სერვისის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ თითო მგზავრსა და თითო ავიარეისზე (ცალ-ცალკე). ორმხრივი ავიაბილეთის შემთხვევაში Wizz FTP სერვისი ავტომატურად გავრცელდება როგორც გამგზავრებაზე, ისე დაბრუნებაზე, შესაბამისად, Wizz FTP სერვისის საფასური გამოითვლება მგზავრების რაოდენობისა და ავიარეისების რაოდენობის საფუძველზე.

5 შეზღუდვები და ლიმიტები

5.1 რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მგზავრების სახელებს ვერ შეცვლით სახელის შეცვლის მოსაკრებლის გადახდის გარეშე. ეს არ ეხება არაზუსტი პერსონალური მონაცემების გასწორების მოთხოვნებს, თუ მოთხოვნილი შესწორება არ გულისხმობს მგზავრის შეცვლას. სახელის შეცვლის მოსაკრებლის ტარიფი მოცემულია ჩვენს ვებსაიტზე.

5.2 Wizz FTP სერვისი არ არის ხელმისაწვდომი ჯგუფური ჯავშნების შემთხვევაში.

5.3 Wizz FTP სერვისი არ არის ხელმისაწვდომი ჩვილებისთვის ან მგზავრებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ. თუ ჩვილთან ან განსაკუთრებული დახმარების საჭიროების მქონე პირთან ერთად მგზავრობას გეგმავთ, ჯავშნის გაფორმებისას უნდა მიუთითოთ მათი სახელები.

6 Wizz Air-ის მიერ გაუქმება

6.1 ჯავშნის გაფორმების შემდეგ Wizz FTP სერვისის საფასურის დაბრუნება ვერ მოხერხდება. ამის მიუხედავად, მგზავრ(ებ)ს უფლება აქვთ, დაიბრუნონ თანხა, თუ Wizz Air გააუქმებს ავიარეისს რეგისტრაციამდე.

6.2 Wizz Air თანხის დასაბრუნებლად გადახდის იმავე მეთოდს გამოიყენებს, რომლის მეშვეობითაც თავდაპირველად განახორციელეთ გადახდა.

7 სხვადასხვა

7.1 Wizz Air-ის ყველა სახის წახალისება, ტარიფი თუ სხვა სპეციალური შემოთავაზებები ექვემდებარება კონკრეტული შემოთავაზების წესებსა და პირობებს.

7.2 Wizz FTP სერვისი არ უნდა იყოს შეთავაზებული კომერციული მიზნით თქვენ ან მესამე მხარის მიერ, მათ შორის და არა მხოლოდ, ინტერნეტ-აუქციონებზე ან სხვა ინტერნეტ-პლატფორმებზე.

7.3 Wizz Air არ აგებს პასუხს დამოუკიდებელი მესამე მხარეების მიერ Wizz FTP სერვისის ნებისმიერი სახის არასათანადო გამოყენებაზე, არც მის დაკარგვაზე ან გამჟღავნებაზე ვინმესთვის, მომხმარებლისა და მგზავრის გარდა.

7.4 Wizz Air იტოვებs უფლებას, ცალმხრივად შეიტანოs შესწორებები ამ TC-ში ნებისმიერ დროს, რისთვისაც ვებსაიტზე გამოაქვეყნებს ჩასწორებულ TC-ს. თუ აქ სხვაგვარად არ არის მითითებული, ვებსაიტზე გაფორმებულ ჯავშნებსა თუ შეძენილ სერვისებზე ვრცელდება რეისის შემსრულებელი Wizz Air-ის სუბიექტის GCC.

7.5 ეს შეთავაზება ძალაშია TC-ს შეწყვეტამდე.

ძალაში შესვლის თარიღი: 2023 წლის 15 აგვისტო